პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ყოველ დღიური ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—50 კ., 3 თვით—1 მ. 50. 6 თვით—2 მ. 50 კ. 12 თვით—5 მ.
წითელ არმიელებ სათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—40 კ. 3 თვით—1 მ. 10 კ. 6 თვით—2 მ. ერთი წლით 3 მან. 80 კ.
განცხ. ფასი 1 გვ —80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

108 (1103) ოთხშაბათი, 19 მაისი 1926 წ, 108 (1103)

## ახალწვეულო, პირნათლად მოიხადე შენი რევოლიუციონური ვალი

პირველი ცნობები ახალწვეულების ნაწილებში მოსვლის შესახებ, ნათლად ლაპარაკობენ იმ ერთსულოვნობაზე, რომლითაც გაეშურა გასაწვევ ახალგაზრდობა შეკრებაზე.

ახალგაზრდა მუშები და გლეხები ხალისით მიეშურებიან წითელ ყაზარმისაკენ—რომ გახდენ საბჭოთა რესპუბლიკის ღირსეული დამცველები, საუკეთესო წითელი მებრძოლები.

ეხლანდელი მათი შეკრება სულ ორ ნახევარ თვეს გასტანს. ვადა მეტად მცირეა, რომ კარგად მოემზადო სამხედრო საქმეში.

მხოლოდ დაუღალავი ენერგიული მეცადინეობით შეიძლება ამ მოკლე ხანში ყოველივე იმის გავლა, რაც განსაზღვრულია სამოსწავლო პროგრამით.

ამიტომაც ახალ მოსულ მებრძოლს აქედანვე მართებს ამ გარემოების სავსებით გათვალისწინება. ახალწვეული ყაზარმაში მოსვლის პირველ დღიდანვე მხნედ და ხალისიანად უნდა მოეკიდოს ყველა თავისი ვალდებულებების შესრულებას. მან ყოველმხრივ უნდა ეცადოს რაც შეიძლება მეტი სამხედრო ცოდნა და პოლიტიკური განათლება შეიძინოს. ამაში მას დაეხმარებიან, როგორც პოლიტხელმძღვანელები, მეთაურები, ისე ძველი წითელ არმიელები.

პირველ ყოვლისა თითეული ახალწვეული აქედანვე უნდა შეეჩვიოს დისციპლინიანობას და ყველა დავალებების თავის დროზე მტკიცედ შესრულებას.

მტკიცე რევოლიუციონური დისციპლინა—აი წითელი ჯარის სიმტკიცის ურყევი საფუძველი.

ყოველი წითელი მებრძოლი და ახალწვეულიც მოვალე არის ყოველმხრივ ხელს უწყობდეს დისციპლინის გამაგრებას და განმტკიცებას.

მაშინ სამხედრო და პოლიტიკური სწავლებაც ნაყოფიერი და წარმატებითი იქნება.

მუშურ გლეხური ახალგაზრდობა ერთსულოვნობით მოვიდა გაწვევაზე, ასეთივე ერთსულოვნობით და ხალისით ის უნდა შეუდგეს სამხედრო მომზადებას.

სამხედრო საქმის კარგად შესწავლა და პოლიტიკურად მომზადება, წითელი ჯარის რიგების გასალკდევება და მისი საბრძოლო უნარის ამაღლება—აი მათი ძირითადი ამოცანა წითელ ჯარში მოსვლის შემდეგ.

ეს ამოცანა მათ ნაყოფიერად უნდა შეასრულონ არა მარტო ყაზარმაში ყოფნის დროს არამედ მაშინაც, როცა მის კედლებს მოშორდებიან დროებით.

ახალწვეულებო შეუდგეთ მის განხორციელებას!

## მძიმე გაკვეთილი უნაყოფოდ არ ჩაივლის.

ბელადების უმაგალითო გამცემლობამ გამოღვიძების გზაზე დააყენა ინგლისის მუშათა მასები. მიუხედავათ საერთო გაფიცვის შეწყვეტისა, მიუხედავათ ზოგიერთი პროფკავშირების მიერ ხელშეკრულების დადებისა მწარმოებლებთან მუშაობის დაწყების შესახებ, ინგლისის მუშათა კლასის ნაწილი მაინც არ დგება სამუშაოზე და დიდათ აღშფოთებულია მოღალატე ხელმძღვანელების საზიზღარი საქციელით.

ბევრ ადგილებში იმართება მიტინგები, სადაც მუშები კიცხავენ თავის პროფკავშირების მეთაურებს და მოითხოვენ ზოგიერთების მოხსნასაც.

ამე მაგალითად რკინისგზელების უმრავლესობა დაჟინებით მოითხოვს თავისი კავშირის მდივნის უოკდენის გადაყენებას, რომელმაც დიდი სამარცხვინო ხელშეკრულება დასდო რკინის გზის კამპანიებთან.

ინგლისის პროლეტარიატი დღითიდღე რწმუნდება მასში, რომ მისი ინტერესები უსინდისოთ გაყიდულ იქმნა შუბლ გარეცხილი ბელადების მიერ. ის აღშფოთებულია და კვლავ დელავს. სამაგიეროთ დიდ სიხარულის წუთებს განიცდის სოციალ-გამყიდველების მთელი ბანაკი ბურჟუაზიასთან ერთად. ხარობს მაკდონალდი, გენდერსონი, ტომასი და მათთან ერთად მთელი მეორე ინტერნაციონალი, რომ მათ კიდევ ერთხელ შესძლეს მუშებისათვის ზურგში მახვილის ჩაცემა.

ამსტერდამის ყვითელმა ინტერნაციონალმა აკრძალა დახმარების შეკრება ინგლისის გაფიცულებისათვის.

და ეს იმ დროს, როცა დამარცხებული ინგლისის მუშათა კლასი, ყოველმხრივ შეზღუდული გამარჯვებით გათავხედებული კაპიტალის შემოტევისაგან საჭიროებს დიდ მატერიალურ და ზნეობრივ დახმარებას.

მხოლოდ წითელი პროფკავშირები არ სტოვებენ თავის მოძმეთ გაჭირვებაში.

საბჭოთა კავშირის სამთა-მადნო პროფკავშირმა დახმარების სახით გაფიცულ ინგლისის სამთა-მადნო მუშებს გადასცა 2 მილ. 600.000 მანეთი. ეს თანხა არც ისე დიდია, მაგრამ ის მაინც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ინგლისის მაღაროს მუშებს მათი კლასობრივ ბრძოლაში.

ინგლისის მუშათა კლასი განიცდის მეტად მძიმე მომენტს თავისი ინტერესებისათვის ბრძოლაში, მაგრამ საერთოთ ის იძენს დიდ გამოცდილებას, იწყებს გამოფხიზლებას, კვლავ იკრებს ძალებს და იმსჭვალება რევოლიუციონური შეგნებით.

„გაფიცვა არ დამარცხებულა, არამედ ბელადების ერთი ჯგუფი“, სწერს ერთ-ერთი ინგლისური მუშათა გაზეთი, „ნუ დაეცემით სულით; ნუ გაიქცევით კავშირებიდან, განამტკიცეთ ისინი ახალი ბელადების მოძებნით და ახალი ათასი მუშების დარაზმვით, რომლებსაც კვლავ სურთ ბრძოლა და რომლებიც კიდეც გაიმარჯვებენ.“

—ე.

# გაფიცვების მოხსნის შემდეგ ინგლისში

## ზოგიერთი დარგის მუშები უარს აცხადებენ შტრეიკბეხერებთან მუშაობაზე

## გაფიცვა ნაწილობრ გრძელდება

### აკრძალულია შტრეიკბეხერების წინააღმდეგ ზომების მიღება

## შეთანხმებები

გრძელდება შეთანხმებები სხვა და სხვა კომპანიებსა და პროფკავშირებს შორის.

გაზეთების გამოცემა კვლავ განახლდა.

## გამყიდველი სიტყვას ამბობს

რკინის გზელთა კავშირის მდივანმა კრებპმა განაცხადა:

„რკინის გზელთა კავშირს გაფიცვა დაუჯდა 1 მილიონი გირვანქა სტერლინგი, ხოლო რკინისგზის კომპანიებს—5 ნახ. მილიონი გირვანქა სტ. ასეთი ხასიათის გაფიცვას ადგილი არ უნდა ჰქონდეს მომავალში, ვინაიდან თუ ჩვენ მას მივიყვანთ სათანადო ბოლომდი, ამით ჩვენივე ხელით მოუმზადებთ ჩვენს თავს შიმშილობას“.

## მოითხოვენ გამყიდველ ბელადის გადაყენებას

ლონდონის ორგანიზაციების განყოფილებათა მთელი რიგი მოითხოვს რკინისგზის კავშირის მდივნის უოკდენის გადადგომას, რომელმაც ხელი მოაწერა მეპატრონეებთან შეთანხმებას

## გაფიცვა ნაწილობრ გრძელდება

მანჩესტერში კვლავ გაიფიცა გემთშმენებელი მუშები, რომლებმაც უარი განაცხადეს შტრეიკბეხერებთან მუშაობაზე.

უელსის რკინის გზის კვანძზე მუშებს არ განუახლებიათ მუშაობა. პორტსმუტში, კრიუსა და კოლვინში მემანქანეები განაგრძობენ გაფიცვას.

## მოსჭრეს ხელები

მეპატრონეებსა და მბეჭდავთა შორის დადებულ შეთანხმებაში ნათქვამია, რომ შტრეიკბეხერების წინააღმდეგ არავითარი ზომები არ უნდა მიიღოს კავშირმა. მუშები არ უნდა შეიკრიბონ მიტინზე სახელოსნოს ბინაში სამუშაო დღის განმავლობაში.

მბეჭდავთა კავშირის გამოჩენილმა მოღვაწემ საბჭოთა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ეს შეთანხმება სერიოზიული ნაბიჯია უკან ინგლისის მუშებისათვის.

„ეხლა კი, განაცხადა მან, ჩვენ მოგვჭრეს ხელები“.

### მაღაროს პატრონები მთავრობის ზომების წინააღმდეგ

სამხრეთ უელსის მაღაროს პატრონები წინააღმდეგია მთავრობის ზომებისა ქვანახშირის სამრეწველოებში განხეთქილების მოგვარების შესახებ.

### კამპანია ამნისტიისთვის

პროფკავშირთა შოტლანდიის საბჭოს მთავარ საბჭოსთან ერთად განზრახული აქვს დაიწყოს კამპანია პასუხისგებაში მიცემულ გაფიცულთა ამნისტიისთვის.

## საუბარი ინგლისის ბრძოლის გაკვეთილების შესახებ

ვენის გაზეთი „არბაიტერ ცეიტუნგში“ მოთავსებულია მე-2 ინტერნაციონალის წევრის ოტო ბაუერის წერილი ინგლისის ამბების შესახებ შემდეგი სათაურით: „ინგლისის ბრძოლის გაკვეთილები“.

წერილში ბაუერი ამბობს, რომ ინგლისის მუშათა გაფიცვები დამარცხდა პროფკავშირების რიგებში შტრეიკბეხერების მასიურობის გამო, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ გაფიცვებში. შტრეიკბეხერობას იმიტომ ჰქონდა ადგილი, რომ ბელადების ერთმა ნაწილმა და პროფკავშირის რიგის წევრებმა ვერ შეიგნეს გაფიცვების პოლიტიკური მნიშვნელობა—აზრი. არა ნაკლები როლი ითამაშა აგრეთვე უმუშევრობამ. საყოველთაო გაფიცვები ვერ გაიმარჯვებს მარტო ეკონომიური ზეგავლენით. გამარჯვებას იძლევა მხოლოდ პოლიტიკური ხელისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლა. თითეული ბრძოლა მის შედეგებზე დამოუკიდებლად, ამდიდრებს პროლეტარიატის გამოცდილებას და ამიტომ სასარგებლოა როგორც რევოლიუციონური ვარჯიშობა.

## მდგომარეობა პოლონეთში

## პოლონეთში ამ ჟამად სიწყნარეა

### ვარშავაში საგანგებო წესები მოხსნილია

### პოზნანის შეთქმულება

პოზნანში გაიმართა სეიმისა და სენატის წევრთა კრება. დაესწრო ხუთი მემარჯვენე პარტია.

კრებამ დაადგინა მიღებულ იქნას ზომები პილსუდსკის წინააღმდეგ „სახელმწიფოში წესრიგის აღდგენის მიზნით“.

## ერთიანი ეროვნული ფრონტი

ეროვნულ მუშათა პარტიის, სახალხო—ეროვნულ კავშირისა და ქრისტიანულ დემოკრატების წარმომადგენლებმა გამართეს საიდუმლო თათბირი ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნის გარშემო.

## საგანგებო წესები მოხსნილია

ვარშავაში მოხსნილ იქნა საგანგებო მდგომარეობა.

გათავისუფლებულ იქნენ ვიტოსის ყოფილი მთავრობის წევრები, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ პოლონეთის მეფეების ყოფილ სასახლეში.

## პილსუდსკის უკვირს

ამერიკელ ჟურნალისტებთან საუბარში პილსუდსკიმ განაცხადა:

„ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა. მე თვითონ გამიკვირდა, რომ ყველაფერი ეს ასე უეცრად მოხდა“.

### პოლონეთის სოციალისტები უარყოფენ თანამშრომლობას მემარცხენე პარტიებთან

პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტმა, კომუნისტებს გარდა, უარი უთხრა კითევ დამოუკიდებელ სოციალისტებსა და დამოუკიდებელ გლეხთა პარტიას თანამშრომლობის წინადადებაზე.

### „სამუდამოთ დაასამარებს“

ინგლისური გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი“, პოლონეთის ამბების გამო სწერს:

„გადატრიალება, რომელიც მოახდინა პილსუდსკიმ, სამუდამოდ დაასამარებს პოლონეთის საჩივრებს ერთა ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის შესახებ“

# რუმინეთის კომკავშირელთა საქმე

რუმინეთის სასამართლომ დაასრულა კომკავშირელთა გასამართლება. 89 კაცს სასამართლომ მოუსაჯა ერთიდან 10 წლამდე ციხე.

# პრიმო ტაპიას სიკვდილით დასჯა

მექსიკაში სასოფლო სამეურნეო კომუნის ლიგის თავმჯდომარე კომუნისტი პრიმო ტაპია სიკვდილით დასჯილ იქნა სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ.

სამხედრო სამინისტრომ უარი განაცხადა მისცეს კომპარტიას რაიმე ცნობა ამ საქმის შესახებ.

# კუკის დეპეშა სსრკ-ს სამთა-მადნო მუშების ყრილობას

ინგლისის სამთო-მადნო მუშათა გაერთიანების კავშირის მდივანმა კუკმა გამოუგზავნა მოსკოვში სამთო-მადნო მუშების ყრილობას შემდეგი დეპეშა:

„თქვენი დეპეშა მივიღეთ გუშინ. ღრმა მადლობას გწირავთ საბჭოთა სამთო-მადნო მუშებს, რომლებმაც სოლიდარობის საუკეთესო მაგალითი მოგვცეს. გთხოვთ დაუყონებლივ გადმოგზავნოთ ფული ჩემს სახელზე, ვინაიდან მუშების საჭიროება დიდია. გაერთიანების მდივანი კუკი".

# მიწვევა საფრანგ. რკინისგზელთა ყრილობაზე

საფრანგეთის რკინისგზელთა რევოლუციონურ კავშირმა მიიწვია სსრკ-ს რკინისგზელთა ცკა საფრანგეთის რკინისგზელთა მე-9 ყრილობაზე.

რკინისგზელთა ცკა აგზავნის ყრილობაზე წარმომადგენლად ამხ. [illegible].

# საბჭოთა კავშირში

## ინგლისის რკინისგზელთა დელეგაცია

17 მაისს მოსკოვში დაბრუნდა ინგლისის რკინისგზელთა დელეგაცია, რომელმაც შეასრულა მოგზაურობა საბჭოთა კავშირში.

დელეგაციის თავმჯდომარემ—ოლივერმა განაცხადა:

„ინგლისის მუშებმა უნდა იცოდნენ სიმართლე ოქტომბრის ქვეყნის შესახებ და ისინი გაიგებენ კიდეც. ჩვენ გაუზიარებთ მათ შთაბეჭდილებებს განცხადებებისა და მიტინგების საშუალებით".

# სავაჭრო ურთიერთობა იაპონიასა და სსრკ-ს შორის

იაპონიის კონსულთა კონფერენციამ ახლო აღმოსავლეთში დაადგინა მოაწყოს იაპონია-საბჭოთა ვაჭრობის შერეული საზოგადოება.

# მეორე საგლეხო სესხი

მეორე საგლეხო სესხზე გაძლიერდა მოთხოვნილება სოფლიდან. ამის გამო საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი უშვებს სესხის მე-9 სერიას 20 მილიონ მანეთის რაოდენობით.

# წყალდიდობა ვოლგაზე

მდინარე ვოლგაზე წყალდიდობა აღემატება 1919 წლისას, როცა წყალი არაჩვეულებრივ სიმაღლეზე ავიდა. მოსალოდნელია წყლის დონის მეტი ზრდა. სამარის გუბერნიიდან მოდის ცნობები წყალდიდობის მიერ მიყენებულ დიდი ზარალის შესახებ. წყალდიდობა ათიათასობით დესეტინა ნათესი. მთელი რიგი სოფლებისა გარშემორტყმულია წყლით.

# კომპლექსის და ჯგუფის ხელმძღვანელის შესახებ

ქართული წითელი ჯარის ცხოვრებაში დიდი ხანი არაა, რაც შემოღებული იქნა წითელ არმიელთა პოლიტმომზადებაში ჯგუფური სისტემა და კომპლექსური მეთოდით მეცადინეობა. ჩვენს ნაწილებში ჯგუფური სისტემა გატარებულია მთელი 100 პროც. კომპლექსური მეთოდით მეცადინეობა კი არა.

კომპლექსური მეთოდის სრულად გამოყენება შეუძლია მხოლოდ მას, ვინც მას იცნობს როგორც რიგს და წყობას, აქვს სათანადო პოლიტიკური და საერთო მომზადება.

ჩვენს ნაწილებში ჯგუფის ხელმძღვანელები უმრავლესობა ოცეულის მეთაურებია, რომლებიც, უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ არიან დატვირთული მუშაობით. ხშირია შემთხვევა, რომ ჯგუფის ხელმძღვანელები ატარებს მეცადინეობას ისე, რომ მას არა აქვს [illegible] და სხვ.

[illegible] არის თუ არა ეს კომპლექსი დაცული მეცადინეობაში?

თავის თავად ცხადია,—[illegible]

[illegible]

ე. ზურდინაძე.

# საველე მომზადება.

## რა საჭიროა დაცვა დასვენების დროს.

ომში, თვით ბრძოლის წარმოების გარდა, ჯარებს მოუხდება ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა, დასასვენებლად შეჩერება და ღამით დაბანაკება. ყველა ამ შემთხვევაში ჯარები იქცევიან უფრო სხვანაირად, ვინემ მოქალაქეები, არა სამხედრო პირთა ჯგუფი, რომელიც ღამეს ათევს სადმე მინდვრად ან მოსახლეობიან ადგილზე. მოქალაქეები უმეტეს შემთხვევაში ისვენებენ ყველანი ერთად და არავითარ მცველებს არ აყენებენ გარშემო. ჯარის ნაწილები, რომლებიც იმყოფებიან საომარ მოქმედების ზოლში, არასდროს არ დაბანაკდებიან დასასვენებლად ისე, სანამ თავიანთ გარშემო მცველებს არ დააყენებენ.

რამდენად დიდია დაცვის მნიშვნელობა შეიძლება დავინახოთ სამოქალაქო ომის შემდეგი მაგალითიდან: მე-20 დივიზიის ერთ-ერთმა ლეგიონმა, როცა გაიგო, რომ მეზობელი სოფელი დაკავებულია დენიკინელების მიერ, რომელთაც არ ჰქონდათ კარგად მოწყობილი დაცვის საქმე, გააგზავნა თავისი საუკეთესო მძიებლები მტრის დაცვის ზოლის გამოსარკვევად. გამოირკვა, რომ სოფელში მიმავალი მთავარი გზები დაცულია, მაგრამ არის კიდევ მოძრაობისთვის ნაკლებ სახერხული გზები, რომლებიც მტრის მიერ გავიწყებულია. და აი, ამ გზებით, ღამით, ლეგიონის ერთი ასეული შეიჭრა მტრის მიერ დაუცავ ზოლში, გარს შემოერტყა რვა სახლს და ტყვედ ჩაიგდო 20 კაცი. ამ ზოლში დაიწყეს შემოსვლა სხვა ნაწილებმაც და გათენებისას მთელი სოფელი გაწმენდილ იქნა მტრისაგან, რომლის მეომრებიც დაიმედებული იყვნენ დაცვის მხრივ და მშვიდად ეძინათ სახლებში. სამოქალაქო ომში ასეთი შემთხვევები ხშირი იყო. აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დაცვის საქმეს.

მართლაც, 20—30 ვერსის განვლით მეომრები იქანცებიან და მოითხოვენ დასვენებას. მოპირდაპირე ამის ანგარიშს უწევს და სცდილობს მოულოდნელად დაესხას თავს მძინარეებს. აქედან ცხადია, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აწევს თავს დამცველ ნაწილებსა და კერძოდ ცალკე მეომრებს. დაცვაში განწესებულ მეომარს უნდა ახსოვდეს, რომ მის უკან სძინავთ დაღლილ ამხანაგებს, რომელთა ბედი მათ სიფხიზლეზეა დამოკიდებული; ამიტომ თვითეული მეომარი უნდა სცდილობდეს კეთილსინდისიერად შეასრულოს დაცვის სამსახურის ყველა მოთხოვნილება: არ უნდა იძინო, ფხიზლად უნდა იყურო გარშემო და ეცადო თვითონ შეუმჩნევი დარჩე. აი პირდაპირი მოვალეობა ყველა იმის, ვინც ასრულებს დაცვის სამსახურს.

აუცილებელი საჭიროა დაცვის სამსახურის სწავლების დაწყებისთანავე აეხსნას მეომრებს, რომ დამცველი ჯგუფი ინიშნება იმ მიზნით, რათა მტერი მოულოდნელად არ დაესხას თავს დასვენებულ მეომრებს და სანამ უკანასკნელები მოემზადებოდენ საბრძოლოდ, დამცველ ჯგუფმა შეაჩეროს მტრის შემოტევა.

ამის შემდეგ თვითეულ მეომარს ნათელი წარმოდგენა ექნება, თუ რა და როგორ უნდა გააკეთოს დაცვის დროს.

მეტი ყურადღება დაცვის სამსახურს და მაშინ დასვენებული ნაწილები არ ჩაუვარდება მტერს ხელში მოულოდნელად.

ი. ბ.

# სასროლო ძიება და თვალ-ყურის დევნება ბრძოლის ველზე

ადგილმდებარეობას, რომელზედაც ბრძოლა სწარმოებს დიდი მნიშვნელობა აქვს ცეცხლის მოქმედებაზე. უმნიშვნელო ჩაღრმავებულ ადგილს, პატარა ბორცვს, თხრილსა და ასეთებს შეუძლია დაჰფაროს მტერი ცეცხლისაგან, ე. ი. ასეთი ადგილმდებარეობა ძალიან ასუსტებს ჩვენი ცეცხლის მოქმედებას. რომ ადგილ-მდებარეობის ღირსება—ნაკლოვანება თავის დროზე იქნას გამორკვეული, ამიტომ სწარმოებს სასროლო ძიება, თვითეული მეთაური და მეომარი უნდა დახელოვნდეს—სწრაფად და ნათლად გაერკვეს ადგილმდებარეობაში, ე. ი. შეეძლოს სასროლო ძიების წარმოება.

ეს ძიება პირველყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ გარკვეულ უნდა იქნას, თუ საიდა მოსალოდნელი მტრის გამოჩენა, სად შეიძლება თავი მოიყაროს მტრის ძალებმა, სად შეიძლება შეფერხებულ იქნას მისი მოძრაობა რაიმე დაბრკოლებებით და სხვა. როცა ასეთი ცნობები გვექნება და თან განუწყვეტლივ ვადევნებთ ბრძოლის ველს თვალყურს, ჩვენ ადვილად და თავის დროზე აღმოვაჩენთ მტერს.

როცა ამისთვის წინასწარ ვიქნებით ჩვენ მომზადებული, შეგვიძლია მოულოდნელად გავხსნათ ცეცხლი. ხოლო ეს კი ცხადია, რომ მოულოდნელობა ბევრს ნიშნავს ბრძოლაში. მტერს არ ექნება საშუალება გვიპასუხოს ცეცხლით, ვინაიდან ის უკვე შემუსრულ იქნება.

ხშირად მიზანი (მტრის ცოცხალი ძალა) მეტად მცირე დროით გამოჩნდება, ვსთქვათ მტრის მსროლელი გადარბის გაშლილ უბანზე ან და გამოჩნდა საფარიდან. აი, აქ საჭიროა მისი გამოღება მიზანში სასწრაფოდ. ამისთვის კი საჭიროა განუწყვეტლივი თვალყურის დევნება. თვალყური უნდა ადევნონ ყველამ, დაწყებული მეთაურიდან, გათავებული მსროლელით.

გარდა ამისა, ჩვეულებრივად ინიშნება სპეციალური პირები—მოთვალთვალეები. ისინი ვალდებული არიან თვალყური ადევნონ არა მარტო მტრის მიზნების გამოჩენას, არამედ თავის ტყვიამფრქვევების ცეცხლს, მსროლელებისა და სხვა. დურბინდის საშუალებით ისინი თვალყურს ადევნებენ ბრძოლის ველს და აინიშნებენ თავისიანებს, თუ სად გამოჩნდა ახალი მიზანი, სად ხვდება ჩვენი ტყვიები და სხვა.

ყოველივე ამის შესახებ ისინი აცნობებენ თავის უფროსს (ათასეულის უფროსს) ან და, თუ რომ ტყვიამფრქვევთან არიან,—ტყვიამფრქვევის უფროსს.

სასროლო ძიების წარმოება და ბრძოლის ველზე თვალყურის დევნება ტაქტიკურ—სასროლო მომზადების მნიშვნელოვანი განყოფილებებია. ამიტომ საჭიროა მინდვრად სწავლების პირველი დღიდანვე დახელოვნდე პრაქტიკულად ადგილ-მდებარეობის შეფასებაში სასროლო თვალსაზრისით.

პ.

# კულტურული აღზრდის საქმე კლუბსა და ლენინის კუთხეში.

წითელარმიელის კულტურულ განათლების საკითხი სკოლის გარეშე მუშაობის მთელ სისტემაში დაჟინებით სდგება, ვინაიდან წითელარმიელის მოთხოვნილებები თანდათან იზრდება.

წითელარმიელის მხრივ კლუბით და, განსაკუთრებით, ლენინის კუთხით სუსტად დაინტერესების მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მათი მუშაობა ვერ აკმაყოფილებდა წითელარმიელის მოთხოვნილებებს.

ვინაიდან ჩვენს მუშაობაში ჰქონდა და აქვს ადგილი იმ გარემოებას, რომ კულტუროსნობა თითქმის მიზნადაა აყვანილი და ჩრდილავს ჩვენი აღმზრდელობითი მუშაობის სამხედრო-პოლიტიკურ შინაარსს, საჭიროა გარკვეული, პრინციპიალური მიდგომა ამ მუშაობისადმი.

საკითხი სდგება შემდეგნაირად: რა უნდა ვქნათ, რომ თვითეული აქტივისტი, თვითეული წითელარმიელი საერთოდ, რომელიც მონაწილეობას ღებულობს წრისა და ლენინის კუთხის მუშაობაში, ვითარდებოდეს კულტურულად და იმავ დროს ეს კულტურული განვითარება არ ჩრდილავდეს, არამედ ხელს უწყობდეს მის პოლიტიკურსა და სამხედრო აღზრდას.

მაგალითისთვის ავიღოთ ლენინის კუთხე. აქ წითელარმიელის მოთხოვნილება გამოიხატება შემდეგში: ისწავლოს კარგი წერა, ანგარიში, რუქა (გეოგრაფია), შეიძინოს აუცილებელი საჭირო საბუნებისმეტყველო და სასოფლო-სამეურნეო ცოდნა. ყველაფერი ეს წითელარმიელისთვის აუცილებელი საჭირო იქნება სახლში და ამიტომაცაა ის დაინტერესებული ამ მხრივ.

ლენინის კუთხემ უნდა დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნილებები სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო მუშაობის მასიურად განვითარების გზით, სადაც წითელარმიელის ინტერესი ცოდნისადმი გამოყენებულ უნდა იქნას მისი ცრუმორწმუნეობის დასანგრევად, ტეხნიკისა და მეცნიერების როლის (და არა ღმერთის) მასში შთასანერგავად, მშრომელთა და სახელმწიფოს ლონისძიებათა კავშირის მნიშვნელობის ასახსნელად და სხვა.

ეს იქნება კულტუროსნობა ანტირელიგიური და პოლიტიკური.

საერთოდ უნდა ვეცადოთ, რომ წითელარმიელის მონაწილეობა ლენინის კუთხის მუშაობაში მეტი საშრომო—საგნობრივი იყოს და თან ახლდეს მისი კულტურული განმტკიცება.

ავიღოთ მაგალითად: სწარმოებს მეცადინეობა შემდეგ საკითხზე: „კოოპერაციის მნიშვნელობა მეურნეობის სოციალისტურ აღმშენებლობასა და გლეხის ინდივიდუალურ მეურნეობის აღმშენებლობაში".

კულტურული ელემენტის შემოღებისა და საერთო განათლებაში დახელოვნების მიზნით, მუშაობის პროცესში უნდა ჩავატაროთ: 1) ამოცანები კერძო და საკოოპერაციო კაპიტალის შეფარდებაზე საბჭოთა სახელმწიფოს სავაჭრო ტრიალში, სოფლად და ქალაქად; 2) ამოცანები, რომლებიც ასაბუთებენ საკოოპერაციო გაერთიანების სარგებლიანობას გლეხთა კერძო მეურნეობებისთვის (ტრაქტორის შეძენა, მიწის დამმუშავებელი ამხანაგობა და სხვა); 3) ადგილის ჩვენება რუქაზე—სად როგორ და რამდენად ძლიერია კოოპერაცია—პროცენტული შეფარდებით და სხვა.

ამ მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, რომ ასეთი მომენტების შეტანა მუშაობის პროცესში გაუადვილებს წითელარმიელს ძირითად პოლიტიკური აზრის გაგებას და იმავ დროს შემოღებულ იქნება მთელი რიგი ფორმებისა და ხერხთა, რომლებიც ხელს შეუწყობენ წითელარმიელთა კულტურულად ზრდას.

ამ გზით საჭიროა გამოვიყენოთ წითელარმიელის კულტურული და საერთო განათლების მოთხოვნილება და ინტერესი პოლიტიკური და სამხედრო აღზრდის გასაღრმავებლად. ეს ამოცანა მეტის მეტად მნიშვნელოვანია ამჟამად, როცა მოთხოვნილებები და ლტოლვა ცოდნისაკენ თანდათან იზრდება.

ი—ი.

# სამხედრონო! განაკად გასვლით ახალი პერიოდი იწყება ნაწილების ცხოვრებისა და მეცადინეობაში

## თქვენც განახლებული ენერგიით შეუდგებით მუშაობას

### დააჩქარეთ წერილები ბანაკის ცხოვრებიდან

## მოვიდნენ

მე 2 არტლეგიონი.

15 მაისს ჩვენს ლეგიონს ეწვიენ ნაწილზე მოწერილი ცვალებადელები. შეკრება დიდი ხალისით დაიწყო. ამხანაგების რამოდენიმე ჯგუფი კითხულობდა კედელზე აკრულ ლოზუნგებსა და პლაკატებს.

ზოგი შეკრებილიყვნენ კედლის გაზეთთან და ყურადღებით ათვალიერებენ მას. გაზეთი გამოშვებული იქნა სპეციალურად მათ შესახვედრათ. დამხვთური წითელ არმიელები ჩაერივნენ ამხანაგებში და გამართეს საუბარი ყაზარმასა და მისი ცხოვრების შესახებ. დაწვრილებით უხსნიდენ თუ როგორი ყურადღება ექცევა ლეგიონში წითელ არმიელის ყოველმხრივად მომზადებასა და გათვითცნობიერების საქმეს.

მოსვლისთანავე ცვალებადელები განაწილებული იქნენ სხვა და სხვა ჯგუფებში. დისციპლინას შეგნებულად შეხვდენ. ყველა თავის დროზე იყრის თავს დანიშნულ ადგილას და ასრულებენ მიცემულ დავალებებს.

დიდი მოუთმენლობით მოელიან სამხედრო მეცადინეობის დაწყებას. ჯერ-ჯერობით სწარმოებს მათთან საუბრები სხვა და სხვა საკითხების შესახებ, რასაც ყურადღებით უსმენენ. იძლევიან შეკითხვებს და დაინტერესებული არიან ყველაფრის გაგებით.

ყოველგვარი იმედებია იმისა, რომ ამხანაგები პირნათლად შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას და შესაფერ ცოდნას მიიღებენ წითელ ყაზარმაში.

რჩოლი.

## პოლიტ-გამოცდები ჩვენთან

(მე-6 ლეგიონი)

28 აპრილს ჩვენს ლეგიონში დაიწყო პოლიტიკური გამოცდები. როგორც გამოცდებიდან გამოირკვა წითელ არმიელები სუსტად არიან მომზადებული პოლიტიკურ საკითხებში.

ათასეულის შემადგენლობიდან მესამედმა გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი, დანარჩენმა კი სრულებით ვერაფერი ვერ უპასუხეს. რით უნდა ავხსნათ ასეთი მდგომარეობა? ეს შეიძლება მიეწეროს პოლიტ-ხელმძღვანელის გამოუცდელობას. ახალი საკითხის ახსნის წინ ყოველთვის საჭიროა გაიგო—შეითვისეს თუ არა წითელ არმიელებმა, განვლილი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სხვა თემის ახსნა. პოლიტიკური საკითხების შეთვისება არც ისე ადვილია, განსაკუთრებით წერა-კითხვის უცოდინართა მიერ. კვირაში მაინც ორი ან ერთი საათი უნდა ჰქონდეს დათმობილი ძველის გამეორებას, რომ წითელ არმიელებმა სრული წარმოდგენა იქონიონ საკითხზე. არის მაგალითები, რომ შედარებით ძველ სამსახურ წითელ არმიელებმაც კი არ იციან უბრალო საკითხები ჩვენი საბჭოთა აღმშენებლობის, არ იციან როდის იყო თებერვლის რევოლიუცია, ოქტომბრის და სხვა.

ასეთ მდგომარეობას ჰქმნის ის, რომ ზოგიერთი ჩვენი ხელმძღვანელები ვერ აწარმოებენ მეცადინეობას თანდათანობითი წესით. საჭიროა წითელ არმიელებს შევათვისებინოთ ჯერ უბრალო საკითხები საბჭოთა აღმშენებლობაზე და შემდეგ თანდათანობით გადავიდეთ უფრო რთულ საკითხებზე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების შესწავლაზე და სხვა. თუ რომ მუშაობა ამ წესით იწარმოებს, შედეგიც დამაკმაყოფილებელი იქნება.

ნინუკუთხელი.

## მეცადინეობა წარმატებით მიმდინარეობს.

მე-3 ლეგ. 7 ასეული.

ასეულში დიდი წარმატებით მიმდინარეობს სამხედრო და პოლიტმეცადინეობა. წითელ არმიელები გულდასმით უსმენენ მეთაურებსა და პოლიტხელებს და ამიტომ მათი შეთვისების უნარიანობა დამაკმაყოფილებელია. სხვა კულტსაგანმანათლებლო და სკოლის გარეშე მუშაობაც კარგ ნიადაგზე დგას. გვაქვს მშვენივრად მოწყობილი და ლიტერატურით მდიდარი ლენინის კუთხე—მრავალი სხვა და სხვა ხასიათის წიგნებით. მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ აქტიური წითელ არმიელები.

აღსანიშნავია განსაკუთრებით ლიტერატურული წრის მუშაობა. ძალიან ხშირად იმართება დეზერტირების, სიმულიანტების და სხვა ლიტერატურულ გმირების-ლიტერატურული გასამართლებები. წითელ არმიელები ყოველთვის დიდ მონაწილეობას ღებულობენ კამათში. ასეული სამაგალითოდ ითვლება ამ მხრივ მთელს ლეგიონში. ყოველ მესამე დღეს გვიწევს განწესება და ხელს გვიშლის მუშაობაში, მაგრამ სხვებს მაინც არ ჩამოვრჩენილვართ.

წ. არმ ვ. გაგუა.

## სამკითხველო მაინც გვექნება.

ცხენ. ლეგიონი.

ლეგიონის ბანაკში გასვლის შემდეგ, ჩვენს ყაზარმაში დროებით გადმოვიდა მე-2 არტლეგიონი, რომელიც ყოველმხრივად ეწყობა და საშვალება გვეძლევა ყაზარმებში დატოვებულ ცხენოსნებს ვისარგებლოთ სტუმარ ლეგიონში წარმოებული კულტურულ—პოლიტიკური მუშაობით. განსაკუთრებით გვახარებს ის გარემოება, რომ სასაშვალება გვექნება ვისარგებლოთ სამკითხველოთი, რომელიც მდიდარია შესაფერი ლიტერატურით. ამნაირად მთელი ზაფხულის განმავლობაში შეგვიძლია მოვკიდოთ ხელი თვითგანვითარების საქმეს და არ ჩამოვრჩეთ ლეგიონს.

პ. კახიძე.

## მოწაფეების კავშირი წითელ ყაზარმასთან

მე 5 ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონს კარგი კავშირი აქვს ადგილობრივ სასწავლებლის მოწაფეობასთან. კავშირი უმთავრესად კულტურული ხასიათისაა. ისინი ხშირად მოდიან ჩვენთან და მართავენ საუბრებს, სდგამენ წარმოდგენებს, აწყობენ გასამართლებებს და ეცნობიან ჩვენს ცხოვრებას. ასეთი მაგალითები ძალიან ხშირად ხდება, რაც მეტად კარგ შთაბეჭდილებას ახდენს წითელ არმიელებზე.

ამას წინად მე-5 შვიდწლედის მოწაფეებმა დასდგეს ლეგიონის კლუბში წარმოდგენა. პიესები მშვენივრად ჩაატარეს. აუარება წითელ არმიელები დაესწრენ და დიდათ კმაყოფილი დარჩენ.

ამხანაგებს დიდი მადლობა გამოეცხადათ და სთხოვა კლუბის გამგეობამ ხშირად გამართონ ასეთები ლეგიონში.

იმედია არსებული კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდება ჩვენს შორის.

ოგანოვი.

## ჩვენი ნაწილების ლენკუთხეებში.

### ლენკუთხეები საგრძნობლად გამოცოცხლდენ.

მე-3 ლეგიონი.

უკანასკნელად ძლიერ განაყოფიერდა ლეგიონის ლენკუთხეების მუშაობა. ყველა ნაწილების კუთხეებში შედგენილია სამუშაო გეგმები და მათი მიხედვით სწარმოებს მეცადინეობა. კუთხეებში ყოველ თავისუფალ დროს ტარდება საუბრები პოლიტიკურ და სამხედრო ხასიათის საკითხებზე. მეცადინეობას კარგი ნაყოფი მოაქვს. ყველა დავალებებს—მიცემული თემების შესახებ გულმოდგინეთ ასრულებენ წითელ არმიელები. კუთხეების მუშაობაში ჩაბმული არიან კომკავშირის ყველა წევრები.

მუშაობაში დიდ მონაწილეობას ღებულობენ აქტიური უპარტიო წითელ არმიელებიც. წინად კი ასე არ იყო. თითქმის გაურბოდენ კუთხეში მეცადინეობას, რაც საბედნიეროდ დროზე იქნა გამოსწორებული და შესაფერ კალაპოტში ჩადგა მათი მუშაობა. ამან კი გამოიწვია წითელ არმიელთა ფართო მასის დაინტერესება.

მ. გოგუაძე.

## ჩამოვაყალიბეთ სამხედრო წრე

მე-4 ლეგ. 2 ათასეული.

ჩვენს ათასეულში მიმდინარე წლის აპრილის პირველ რიცხვამდე ვერ შევსძელით სამხკორთა ორგანიზაციის შექმნა და მუშაობის წარმოება. მას შემდეგ კი მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. წევრებათ ითვლებიან წითელ არმიელების უმეტესობა. ყველა დიდ აქტივობას იჩენენ მუშაობაში. სხდომაზე თავის დროზე მოდიან, არ აგვიანებენ.

ვსწავლობთ თუ რაზე როგორ უნდა ვსწეროთ, რას უნდა მივაქციოთ მთავარი ყურადღება და რამდენად სავალდებულოა ნამდვილი ფაქტების გაშუქება პრესაში.

ხელმძღვანელი—ორგანიზატორი ამ მხრივ ყოველ ღონისძიებას ღებულობს, რომ შეათვისებიოს მათ სამხკორის მოვალეობანი.

წ. არმ. კ. ჯაოშვილი.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

### ცუდი პური გვეძლევა

ამ უკანასკნელ ხანებში მეორე ლეგიონში მეტად ცუდი ხარისხის პური გვეძლევა. ჯერ ერთი—პური უმცხვარია-გამოუშუშებელი და მეორე კი მწარე. მისი ჭამა ყოვლად შეუძლებელი ხდება. სამწუხაროდ, ნაკლებად ექცევა ამ გარემოებას ყურადღება. წითელ არმიელებს კი ნახევარჯერ მშიერი უხდებათ ყოფნა. საჭიროა საჩქაროდ მიიღებდეს ზომებს ამის წინაღმდეგ ჩვენი სამნეო ნაწილი.

მე—ლი.

### სადილი არ გვაკმაყოფილებს

1-ლი ლეგიონის ბანაკად გასვლის შემდეგ, ყაზარმაში დატოვებული ასეული გადავიდა მე-6 ლეგიონის კმაყოფაზე.

სამწუხაროდ სადილი ძლიერ გაუარესდა. არ გვეძლევა ისეთი, როგორსაც ვიღებდით ლეგიონის აქ ყოფნის დროს. ამას გარდა მეორე თავი სადილზე სრულიად მოგვისპეს.

კარგი იქნება მე-6 ლეგიონის სამნეო ნაწილი დროზე მოგვაქცევდეს ყურადღებას და გაგვიუმჯობესებდეს სადილს.

წ არმ. ზურაბი.

### ყურადღება უნდა მიექცეს

ცხენოსანი ლეგიონისაგან ყაზარმაში დატოვებულ წითელ არმიელებს შორის არიან ვენერიული ავადმყოფობით დაავადებული ამხანაგები. ხშირად გვიხდება ერთი და იმავე ჰურჰლიდან საჭმელის ჭამა ავადმყოფებთან ერთად, რაც დიდ შიშს იწვევს ჯანმრთელ ამხანაგებში და არა ვართ უზრუნველყოფილი ავათმყოფობისაგან.

საჭიროა მიიღებდეს ნაწილის ექიმი შესაფერ ზომებს და თუ საშიშროებას არ წარმოადგენენ ისინი აუხსნას მაინც წითელ არმიელებს.

ც—ლი.

## ცნობათა ბიუროს მუშაობა

1-ლი ლეგიონი

ლეგიონში არსებულ ცნობათა ბიუროს მუშაობას თავიდანვე დიდი ყურადღება ექცეოდა ჩვენი მესვეურებისაგან. წითელ არმიელებს აუარება საჩივრები შემოჰქონდათ თავიანთი ოჯახური მდგომარეობის შესახებ, რისთვისაც გვიხდებოდა დაგვეკავებია წერილობითი კავშირი ადგილობრივ თემებსა და აღმასკომებთან. სამწუხაროდ ზოგიერთი მაზრებიდინ არ იძლეოდენ პასუხს, არ ეკიდებოდენ სათანადო ყურადღებით ჩვენს მიმართვებს და ეს გარემოება კი დიდ უკმაყოფილებას იწვევდა წითელ არმიელებში.

ბევრ მაზრებში უყურადღებოთ რჩება წითელ არმიელის ოჯახზე არსებული კანონი. ამას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს შესაფერი ორგანოებისაგან.

მაზრებიდან მიღებული პასუხი ჩვენს მიმართვებზე არ აღემატება 15 პროც.

საკავშირო კომისიას ხშირად განმეორებით უხდება განცხადებების გაგზავნა პროკურორთან და სხვა სათანადო ადგილებზე, რაც მეტ დატვირთვას იწვევს და ხელს გვიშლის მუშაობაში.

მეორე მხრივ არიან მაზრები მაგალითად:

ქუთაისის, ოზურგეთი, ტფილისის, გორის, ახალქალაქის, სენაკის და სხვები, რომლებიც ყურადღებას აქცევენ წითელ არმიელთა ოჯახებს და ეხმარებიან მათ.

საკავშირო კომისიას აქვს ამ ცხრა თვის განმავლობაში გადაგზავნილი 682 მიმართვა, შემოსულია წითელ არმიელებისაგან 702. ზოგიერთებს უარი ეთქვათ.

ყველა ასეულებში ჩამოყალიბებულია ცნობათა ბიუროები, რომლებიც აწარმოებენ აღრიცხვას და აძლევენ წითელ არმიელებს ახსნა განმარტებას. ამას წინად მოეწყო ცნობათა ბიუროების თათბირი, რომლებსაც მიეცა სათანადო დირექტივები; უჯრედები ხშირად მოითხოვენ მათ ანგარიშს თავიანთი მუშაობის შესახებ. სამწუხაროდ ცნობათა ყუთები ასეულებში ყველგან არ არის, რაც აუცილებლად საჭიროა.

სულ არსებობს 13 ცნობათა ბიურო. საკავშირო კომისიის გადარჩევა მოხდა ამ რამოდენიმე დღის წინად. ძველი კომისიის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. კომისიას სამნეო ნაწილი დიდ დახმარებას უწევს.

არსებობს 5 სექცია. თითეულ სექციის განაგებს საკ. კომისიის წევრი.

ს. იმნაიშვილი.

# სამხედრო ქრონიკა

### სამხედრო ტეხნიკური ქონების მომჭირნეობისათვის.

საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო ტეხნიკური სამმართველოს უფროსმა ცირკულიარული წერილით მიმართა სამხედრო ტეხნიკური ქონების საწყობების, რკინის გზის პარკების უფროსებს, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან ოლქების სამხედრო ტეხნიკურ სამმართველოებს, რათა ადგილებზე დაიცვან მაქსიმალური მომჭირნეობა სამხედრო ტეხნიკური ქონების ხარჯვის დროს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მატერიალური ნაწილების დამცველ ნაწილების შეღებვის საქმეს, ქონების კარგად დაცვის და საწყობების ყველა ოპერაციების რაციონალურად გატარების საქმეს, ქონების შესანახად წარმოებულ მუშაობას და სხვა.

### მწვანილეულობის მაგიერ ბრინჯი.

ბაქოს ბაზარზე შეძენილი იქნა ბრინჯი, რომელიც მიეცემათ კავკასიის წითელდროშოვან არმიის ყველა ნაწილებს მწვანილეულობის მაგიერ. 1 გირვანქა მწვანილეულის მაგიერ გაიცემა 18 მისხალი ბრინჯი. ბრინჯი გაიცემა ყველა სასურსათო მაღაზიებიდან სალაროს ქვითარით მისი ღირებულების შეტანის შემდეგ. 1 ფუთი ღირს 5 მან. და 50 კაპ.

### კონსერვების განხილვა.

იმის გამო, რომ სასურსათო მაღაზიებში დაგროვილი კონსერვები ნაწილობრივად არ შეეფერებიან სამხედრო კონსერვების ხარისხს, ნაწილებს ეკრძალებათ მისი შენახვა. კონსერვების ქვაბში ჩაგდებას უნდა დაესწროს ექიმი და ათვალიერებდეს თითეულ მათგანს.

### „ბოეცის“ დახმარება.

სამხედრო მომხმარებელი საზოგადოება „ბოეცი“ ხსნის მთელ რიგ კოოპერატიულ წარმოებებს (განმანაწილებლები, სასადილოები, საპარიკმახეროები) საბანაკო და ტერიტორიალური შეკრებების ადგილებზე.

სამხედრო სამეურნეო საზოგადოებამ წინადადება მისცა ნაწილებს, ხელი შეუწყონ კოოპერატივს თავისუფალი ბინების — კარვების, მუშა ხელის და სხვათა მათ განკარგულებაში გადაცემით.

### მიღებულია ზეთი.

ზეთის გაცემის დროებითი შეჩერება ნაწილებისადმი გამოიწვია მიღებული ზეთის დიდი პარტიის უვარგისობამ. ამ ჟამად მიღებულია ზეთის დიდი პარტია და მისი გაცემა იწარმოებს ჩვეულებრივი წესით.

### კარტოფილის საწმენდი.

ახლო მომავალში კარტოფილის გაწმენდა ნაწილებში იწარმოებს კარტოფილის საწმენდი — სპეციალური დანების საშვალებით. ის ნაწილები, რომლებსაც სურთ ასეთი დანების შეძენა, უნდა მიმართონ განცხადებით სამხედრო სამეურნეო საზოგადოებას 1-ლ ივნისამდე.

### კონსერვები არმიისათვის.

სამხედრო მომხმარებელ საზოგადოება „ბოეც“-მა დაამზადა ხორცის კონსერვები. ნაწილებს შეუძლიათ მიიღონ ისინი „ბოეცის“ განმანაწილებლების საშვალებით.

### მიღებულია ახალი საკარვო ტილოები.

არმიაში მიღებულია წითელარმიელთა ახალი საკარვო ტილოები, რომლებიც დაეგზავნება ნაწილებს. ტილოები სრულიად ახალია და ყველა მოწყობილობით.

# ამბები მაზრებიდან

## გლეხთა მომარაგება მანუფაქტურით

ქუთაისის ცეკავშირის განყოფილებამ მიიღო 2 ვაგონი მანუფაქტურა გლეხთათვის. მანუფაქტურა განაწილებულ იქნება დასავლეთ საქართველოს კოოპერატივებს შორის.

## წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

სუფსის რაიონში 80 პროც.-თ იქნა ჩატარებული წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ოზურგეთის მაზრაში წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია მოხდა ასივე პროცენტით.

## ძლიერი სეტყვა

14 მაისს თელავში მოვიდა ძლიერი სეტყვა, რომელიც ათი წუთი გაგრძელდა. სეტყვამ დააზარალა თელავი და სოფლები — შალაური, კურდღელაური, ნასომნაური და ბოგანაფში.

ზარალი დიდია, ვენახები ზოგიერთ ადგილას სრულიად გაფუჭებულია.

## მოსავლის მდგომარეობა

ახალსენაკის მაზრაში სიმინდის მინდვრების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ხანგრძლივი გოლვის გამო მინდვრების დიდი რაოდენობა დაუთესავია. ვენახების მდგომარეობა საშუალოა. კაკლის მოსავლს კარგი პირი უჩანს.

ცხენის წყალის გადიდების გამო გაფუჭებულია ნათესები 60 დესეტინამდი.

## ტყის კვირეული

ოზურგეთის მაზრაში ტარდება ტყის კვირეულის კამპანია. გლეხობას აცნობენ სატყეო მეურნეობის გონივრულად წარმოებას, სწარმოებს საჩვენებელი რგვა ტყის ჯიშების: ურთხელას, მუხისა და სხვა.

## გზები სვანეთში

სვანეთის მოსახლეობა მხურვალედ შეუდგა გზების გაყვანას. ლენჯერისა და მესტიას რაიონებში დაწყებულ იქნა მუშაობა საკუთარი სახსრებითა და ხელსაწყოებით.

ამ დღეებში სხვა თემებშიაც დაიწყება მუშაობა.

## დუღაბი ზაჰესისთვის

ფოთის ნავთსადგურში შემოვიდა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემი „ფომინი“, რომელმაც მოიტანა ზაჰესისთვის 868 ტონა დუღაბი (ტონა უდრის 61 ფუთს).

# უცხოეთის არმიებში

### იაპონიის საზღვაო საჰაერო ფლოტი

საზღვაო ფლოტის მანევრების შემდეგ გასულ წელში გამოირკვა, თუ როგორი და რამდენად ძლიერი საზღვაო-საჰაერო ფლოტი ყავს იაპონიას. უცხოეთის პრესა მხოლოდ ამ მანევრების შემდეგ ალაპარაკდა მის შესახებ. ამ ჟამად მის განკარგულებაში იმყოფება 400 ჰაეროპლანი — და ყველა მათი შარები. ფლოტის ბაზად ითვლება შემდეგი ქალაქები: იოკო სუკი, სასებო, ომურტე და კაზიმიგაცი.

1925—26 წლის ბიუჯეტით საზღვაო ავიაციისათვის გათვალისწინებულია 18 მილიონი იენი. გასული წლის უკანასკნელ მანევრების დროს მონაწილეობა მიიღო 80 გიდროპლანმა და 1 დირიჟაბლმა.

### ოსმალეთის არმიის დიდი მანევრები

ინგლისის გაზეთები იტყობინებიან, რომ ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა ჩაატაროს მიმდინარე გაზაფხულზე თავისი არმიის საზღვაო და ხმელეთის მანევრები. ამ მიზნით მთავრობამ გამოითხოვა ეროვნულ კრებისაგან სპეციალური თანხები სესხათ. მანევრების ერთი ნაწილი ჩატარებული იქნება ფრაკიაში.

### როგორ შენდება იტალიის სამხედრო-საჰაერო ფლოტი

იტალიის სამხედრო საჰაერო ფლოტი წარმოადგენს სრულიად განსაკუთრებულ უწყებას. შექმნილი იქნა სამხედრო საჰაერო სამინისტრო, რომელმაც მიზნათ დაისახა ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს შექმნას გარი იაპონური კონსტრუქციის, იაპონიაშია დამზადებული.

ამ ჟამად უცხოელ მფრინავ ინსტრუქტორების დათხოვნის შემდეგ ფლოტის პირადი შემადგენლობა აღწევს 300 კაცამდე. ფლოტში შედის 8 ესკადრილია. თითეულში კი არის 8 ჰაეროპლანი, 2 დირიჟაბლი და 20 მისამაგრებელი საჰაერო ისეთი სამხედრო საჰაერო ფლოტი, რომელიც ომის შემთხვევაში შეიძლება სწრაფად იქნეს გამოყენებული შეუმზადებლად. ამ მიზნით შექმნილია შემდეგი ორგანიზაციები:

1) განცალკევებული საჰაერო არმია, რომელსაც ევალება თავდაცვისა და შეტევაზე გადასვლის საქმე იტალიის ტერიტორიის გარეშე და ზღვაზე, საჰაერო სარდლობის დირექტივების შესრულებისათვის (სტრატეგიული ავიაცია).

2) დამხმარე საჰაერო ძალები — ამის მოვალეობაში შედის იმოქმედოს არმიასა საზღვაო ფლოტთან და კოლონიალურ ჯარებთან ერთად.

1925—26 წ. წ. იტალიის განკარგულებაში იმყოფება — 900-მდე ჰაეროპლანი, 82 — ესკადრილია; აქედან 32 ესკადრილია შეადგენს საჰაერო არმიას, 21 — დამხმარე საჰაერო ძალებს არმიის გვერდით მოქმედებისათვის, 21 — საზღვაო ფლოტთან ერთად მოქმედებისათვის და 5 — ახალშენებისათვის (კოლონიები). თითეულ ესკადრილიაში შედის 9 ჰაეროპლანი და 2 მარქაფი. ფლოტის პირადი შემადგენლობა აღწევს 16.000 კაცამდე.

# აზრის გადაცემა მანძილზე *)

**აზრის სხივმფინაობა.**

კიდევ უფრო რთული ხასიათის ცდები იქნა დაყენებული სობოლევის მიერ ლენინგრადის სამეცნიერო ლაბორატორიაში.

სობოლევი ეკუთვნის იმ მეცნიერთა რიცხვს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აზრი მატერიალურია, ე. ი. რომ ის სხივმფინაობით გადადის, რომ ის რადიო აქტიურია. სხვანაირად, რომ ვსთქვათ თითეული ადამიანისაგან გამოდიან რადიო-სხივები და რომ მათი მიღებაათვისება შეუძლია შესაფერი კონსტრუქციის — აგებულობის რადიო აპარატს.

დაყენებული იქნა შემდეგი ცდები:

ლაბორატორიის ქვეშ არის სარდაფი, რომლის დაკეტვა ისე შეიძლება, რომ შეუძლებელი ხდება შიგმყოფი ადამიანისათვის ოდნავი ბგერების-ხმაურობის მოსმენაც კი. ამ სარდაფში მოთავსებული იქნა სათანადო აგებულობის რადიო აპარატი. აპარატს შეეძლო დაეჭირა სრულიად უმნიშვნელო ბგერაც კი და ეს გარემოება აღენიშნა საკუთარი ისარის ქანაობით.

ამ საინტერესო ცდებმა ბევრი ძვირფასი შედეგები მოიტანა. უდავოდ იქნა მიღებული, რომ აპარატი ეხმაურება ყველას, ვინც კი გაივლის სარდაფის თავზე ქუჩაში. თითეული ადამიანის აზრს ის აღნიშნავდა ისრის სათანადო რხევით. დამტკიცებული იქნა აგრეთვე, რომ დამშვიდებულ მდგომარეობაში თუ გაივლიდა ვინმე სარდაფის თავზე აპარატის ისარი უძრავად რჩებოდა, იმ დროს როდესაც აღელვებული კაცი — საგრძნობლად ამოძრავებდა იმავე ისარს.

ამნაირად შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ ადამიანის აზრი მატერიალურია, რომ ის მომდინარეობს სხივებით, როგორც რადიო-სხივები და რომ მოაზროვნე-დაფიქრებული ადამიანი და ცხოველიც კი არიან ცოცხალი რადიო აპარატი, რომლებიც განუწყვეტლად უშვებენ რადიო ტალღებს.

**შთაგონება მანძილზე.**

მოსკოველი მეცნიერი გერნშტეინი კიდევ უფრო შორს მიდის. გამუდმებული ცდების საშვალებით მან მიაღწია იმას, რომ მან შესძლო შთაგონების გადაცემა 70 ვერსის მანძილზე. ეს მოხდა შემდეგნაირად: მოსკოვის ლაბორატორიაში იმყოფებოდა მეცნიერი გერნშტეინი რადიო აპარატით, რომლის საშვალებით შეიძლებოდა მეტად უმნიშვნელო რადიო ტალღების გადაცემა დიდ მანძილზე. 70 ვერსის დაცილებით მოსკოვიდან ერთ-ერთი მოქალაქე ქალის ოთახში მოთავსებული იყო რადიო მიმღები, რომელზედაც დადებული ჰქონდა ხელი აღნიშნულ ქალს. მეცნ. გერნშტეინმა გააზრებით უბრძანა ქალსმოსკოვიდან წარმოდგარიყო ფეხზე, გაეარა ოთახში და სამჯერ შემოევლო გარშემო. ამ დროს ერთი სიტყვაც არ დაუძრავს მეცნიერს. ეს ცდა სრული წარმატებით დამთავრდა: მოქალაქე ქალი ადგა და სამჯერ შემოუარა ოთახს.

სხვა ცდებიც წარმატებით იქნა დამთავრებული; მართალია ძლიერ ცოტა ვიცით იმ სხივების ბუნების შესახებ, რომლებსაც უშვებს ადამიანი, ჯერ კიდევ არ არის გამოგონებული ისეთი რადიო-აპარატები, რომლის შემწეობითაც შეიძლებოდეს ადამიანის აზრის-გაფიქრების გადაცემა და მიღება, მაგრამ ასეთი ცდების არსებობა გვაჩვენებს, რომ ადამიანი მართლაც უშვებს სხივებათ ტვინის ენერგიას და არის თავისებური რადიო სადგური, რომელიც გადასცემს და ღებულობს აზრის შეგრძნებას. ამის გარშემო დიდ მუშაობას ეწევა აგრეთვე იტალიელი მეცნიერი კაცამალი, რომელმაც შესძლო მეტად რთული ცდების დაყენება. თუ საბოლოოდ გაიმარჯვა ამ ცდებმა, მეცნიერებას კიდევ ექნება საფუძველი იდღესასწაულოს თვისი კიდევ ერთი უდიდესი მიღწევა და გამარჯვება, რაშიდაც ეჭვი არ შესდით აზრის მატერიალურობის დამცველებს.

**შავი მინა. (შუშა)**

იაპონელ მეცნიერმა სუგიიმ მრავალი ცდებისა და გამოკვლევების შემდეგ შესძლო შავი მინის დამზადება, რომელიც სრულიად არ არის გამჭვირვალე, მაგრამ თავისუფლად ატარებს ულტრაიისფერ სხივებს.

ეს მინა დიდი გამოყენებით ისარგებლებს მედიცინაში და სამხედრო საქმეში. მაგალითად: მოწინააღმდეგის ჯარების ყოველგვარი მოძრაობა და მოქმედება შეიძლება თავისუფლად იქნეს მისი საშვალებით გადაღებული ღამით. ეს მინა აუცილებლად დიდ როლს ითამაშებს მომავალი ომების დროს.

*) იხ. გუშინდ. ნომერი.

## ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

# პასუხი სამხკორებს

ტახათელელს (მეთაურთა სკოლა) წერილი მემანქანეების შესახებ არ დაიბეჭდება· ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

ბურდილაძეს წერილი სამნეო კომისიების შესახებ გამოუსადეგარია. მოიწერეთ სხვაზე. უმთავრესად კი ნაწილის ყოფა-ცხოვრების შესახებ. კომპლექსიური მეთოდის შესახებ დაიბეჭდება.

ჯ. ქუთელიას (პოლიტსკოლა) თქვენი წერილი „როგორ უნდა მოვიქცეთ“ არ დაიბეჭდება. ასეთი პრაქტიკული წინადადებების სახით ერთხელ უკვე გავიდა თქვენს წერილში. ხელმეორედ არ დაეთმობა ადგილი.

წ· ა—ს (4 ლეგ·) თქვენი კორესპონდენცია ცოცხის შესახებ მეტად წვრილმანია. გადაეცით კედლის გაზეთის სარედკოლეგიას.

ზურაბს (1-ლი ლეგიონი) თქვენი წერილი განწესებასა და მუშფაკელ წითელ არმიელების შესახებ არ დაიბეჭდება. ამის შესახებ მიმართედ ნაწილის უფროსს პირადათ და ის გეტყვით თუ რამდენად მისაღები იქნება თქვენი წინადადება.

# განცხადება

## პოლიტმომუშავეთა საყურადღებოდ

გამოვიდა და იყიდება ქართულ ენაზე რ. მუკლევიჩის წიგნი — „პოლიტ-მუშაობა საბრძოლო გარემოებაში“.

წიგნი შეიცავს 63-გვერდს, ფასი — 75 კაპ., კოლექტიურად გამომწერთათვის — 65 კაპ. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლის ბიბგამგეს.

მისამართი: ვაკე, ქართულ გაერთიანებული სამხედრო სკოლა.